ნაკადული

წელიწადი მე-XVI № 7. აპრილი 1920 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი:

I. სურათი 1

II. სალამი,—ლექსი დ. ცვარნაძისა 3

III. თაგუნიას თავგადასავალი, — გუგანარგილისა . . . 4

IV. მურია, — ლექსი ილ. გოგიასი 12

V. პატარა ქურდი, — ერთ მოქ. კომედია 14

VI. ჭიანჭველას საოცარი თავგადასავალი (გაგრძელება), სკვოროცოვისა, თარგ. კაკისა 21

ეროვნული ბიბლიოთეკა



სალამი.

სალამი, ჩიტუნებო,
სიმნო სიყვარულისა,
გულ-ჭრელა ყვავილებო,
კეკლუც გაზაფხულისა.
ჯერ ლხენად დაიცალეთ,
დრო მოვა—მოიცალეთ,
მომავლის ნუგეშებო,
სალამი, გენაცვალეთ...
ერის თვალი თქვენ გიცქერს,
მამული გელიმება,
თქვენ სახელს გულზე იწერს
ჩვენი ქვეყნის ბუნება.
ჭიკჭიკით აიშალეთ,
ბნელი-დღედ შეგვიცვალეთ,—
სალამი, კუდრაჭებო,
სალამი, გენაცვალეთ...

დ. ცვარნამი



ეროვნული ბიბლიოთეკა

თაგუნიას თავგადასავალი.

(ვუძღვნი ჩემ დას—ბაბლიკოს).

თავი I.



ერთ ბებერ ვაზის ძირას ვენახში ჩვენ ფართო სორო გვქონდა. მშვენივრად იყო მორთული ჩვენი ბინა კაკლის და თხილის ნაჭუჭებით, ჩიტის ფრთებითა და ბოლოებით... სოროს კედლებზე რკინეულობა, ოქროულობა და ვერცხლეულობა იყო დაკიდული. სულ უკან, ჩვენს სოროში, იატაკზე გაშლილი იყო რბილი ბალახი და ჩიტის ბუმბული. ეს ჩვენი საწოლი იყო. ჩვენს ოჯახს შეადგენდა ბებერი, მთლად გაჭაღარაებული პაპა, რომელსაც კბილების უქონლობის გამო დედა ჩემი ფაფას უსარშავდა.

როგორ ვუყვარდი პაპას! ჩამისვამდა ხოლმე კალთაში და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაფას მეც გამალოკინებდა. კიდევ ჩვენი ოჯახის წევრები იყვნენ დედა-ჩემი და მამა-ჩემი... ორივე ახოვანი ტანისა, გამბედავნი და ერთმანეთის მოსიყვარულენი.

ჩვენი პატარა ოჯახის სულ უკანასკნელ წევრად მე ვითვლებოდი,—ბალან-აბურძგნული, თვალ-წირპლიანი და ეურებ-დაცქვეტილი თაგუნია... ტკბილად, უშრუნველად ვცხოვრობდით ეს პატარა ოჯახი, მაგრამ ალბად ღმერთს არ უნდოდა ჩვენი ბედნიერება და თავს რისხვა დაგვატეხა. აი როგორ მოხდა ეს:—

— ერთ საღამოს საშინელი ქარი ასტედა და კოკისპირული წვიმა წამოვიდა. ჭერიდან მიწა ცვივოდა და ყველანი სიცივით ვძაგძაგებდით. დედა-ჩემმა ფიჩხის ნამტვრევი მოიტანა სოროს კუთხიდან და მალე პატარა ცეცხლი ლამაზად გუზგუზებდა... შემოვუსხედით ცეცხლს. დიდებმა ლაპარაკი დაიწყეს.

— ამაღამ უეჭველად წვიმა ჩამოგვივა სოროში,—სთქვა მამა-ჩემმა:—მე აქ ახლო ერთი ფუღურო ვიცი დიდ თუთაში; იქ უნდა შევაფაროთ თავი, თორემ ჭერი ჩამოგვენგრევა თავზე... და ვინ იცის...

— სიტყვის დამთავრებაც კი ვერ მოასწრო მამა-ჩემმა, რომ ჭერს მსხვილი წვიმის წვეთი მოსწყდა, ჩავარდა ცეცხლში და შიშინი დაიწყო. ჩვენები ფეთიანებივით წამოხტნენ. წვეთების ცვივნა გახშირდა. ცეცხლი ჭქრებოდა.

— აბა მოძეევით, თორემ ყველანი აქ დავრჩებით და დავიღუპებით. ერთმანეთს კუდებში თათი ჩაავლეთ! —

დაიწრიპინა მამა-ჩემმა მქუსარე ხმით და გაგვიძღვა წინ. მამა-ჩემს პაპა მისდევდა კუდში ხელ-ჩაჭიდული, პაპას—დედა, მე კი დედას მიედევდი ფესდაფეს; დედა მაძხნევებდა და ჩუმად სტიროდა; მეც ტირილი დავიწყე. აჭა!.. გავედით კიდეც სო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდან. ქარი ზუზუნებდა... წვიმის მსხვილი წვეთები ცვიოდა. ბალახები სველი იყო... ტანში ჟრუანტელი მივლიდა. კარგა დიდხანს ვიარეთ. ხან ბალახებში ვმვრეებოდით, ხან დამბალ ნაბარზე ვიარეთ, ხან მაყვლის ეკლებში გაგმეერით. ერთი სიტყვით, დიდი ტანჯვა-წვალება გამოვიარეთ და ძლივს მივაღწიეთ დიდ თუთას, რომლის ტოტებსა და ფოთლებს ქარი სახარლად აშრიალებდა და გვერდზე ქუსილით ნიაღვარი ჩამოურბოდა. ცა შავად იყო მოღრუბლული. არც მთვარე სჩანდა, არც ვარსკვლავები. რაღაც დინჯად გრიალებდა ცაში. ეს გრიალი ძალიან მაშინებდა.

— აი აქ არის,—სთქვა მამა-ჩემმა შრიალა თუთის ქვეშ:— აბა ავიდეთ. ის აძვრა, ჩვენც მივყევით. კარგა ხანს ვიცოცეთ წახრილ თუთის ქერქზე და თავი შევაფარეთ თუთის ფუღუროს. აქ შედარებით თბილოდა კიდეც. რბილი საგსი ეგო. ეკვლანი ფუღუროს სულ უკანა კუთხეში მივჯექით; ბალნის სწორება და კუდებიდან წყლის ჩამოწურვა დავიწყეთ. გარშემო ბნელოდა. ერთმანეთს ვერა ვხედავდით.

— აქ ბევრჯელ ვეოფილვარ,—დაიწყო მამა-ჩემმა:—ამ ფუღუროს ამ გაზაფხულზე მივა ენი.

მაგრამ მამა ჩემს სიტყვა პირში გაუწყდა. ცაში საშინელი ჭექა-ქუსილი გაისმა და მთელი ჩვენი ფუღურო და არემარე დღესავით განათდა ერთ წამს; მერე ისევ სიბნელე ჩამოვარდა.

— რა არის ეს,—გავიფიქრე. ჩემში ცნობის მოუვარეობამ გაიღვიძა. ფრთხილად გავუსხლტი დედა-ჩემს თათიდან და ნელა მივცოცდი ფუღუროს პირთან: მინდოდა დამენახა, რა ანათებდა ცაში. სული გავნაბე. ქვეშიდან ნიაღვარის საზარე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი შხუილი მოისმოდა. ქარი ჭექროდა და სიცივე ცხვირსა მწვავდა. გრიალ-განათების ლოდინი დიდხანს არ დამჭირდა. დაიჭექა!.. მაგრამ ისე დაიჭექა, რომ გული გადამიტრიალდა,— სუნთქვა შემეკრა. ქუხილამდე განათებას ვერ გაუძლო ჩემმა თვალებმა და დავხუჭე. უნებურად წინ წავიწიე. უკან გაქცევა მინდოდა, მაგრამ რეტიანივით შემოვტრიალდი და ვიგრძენ, რომ სადღაც მივფრინავდი. ქარი ცვერდში ძალზე მცემდა და ვეზად დიდი სისწრაფით მიმაქანებდა. მესიამოვნა კიდეც ასეთი უცნაური მგზავრობა, და მეგონა სულ ასე ვიმგზავრებდი; მაგრამ უეცრივ წელის ჭეაპანი მომესმა და რამდენსამე ხანს ჩქარი ნიაღვარი სულ-შეგუბებულს ძირ-ძირ მიმაქანებდა. ძალზედ ავამუშავე ფეხები და ძალე წყალს ზემოდან მოვექეცი. ხანდისხან, როცა შიგნით შემიტანდა, წყალს ვულაპავდი, რაც ძალიან მამძიმებდა და მიძნელებდა ცურვას. დიდხანს მივქროლავდი ტალღიდან ტალღაზე ამ უკუმეთ ღამეში. და ვინ იცის კიდევ რამდენ ხანს ვიქროლებდი, რომ ერთს ალაგას წყალი ცოტა არ გამდორებულიყო. ჩემდა სასიხარულოდ ფეხი რაღაც მაგარს მოვახვედრე. ფიჩხი ეოფილიყო. გამესარდა. აფცოცდი ფიჩხზე, ამოვედი წელიდან და ღობეს კი წავაწყდი. შევძვერ ღობეში და კარგად დავისვენე. მცივოდა. ვკანკალებდი. ძალე ქარმა ღრუბლები გაფანტა; წვიმა შესწყდა; ვარსკლავებმა და მთვარემ გამოანათეს. დიდხანს ვუცქერდი მთვარეს. არა მესმოდა რა და ვერაფერს ვაზროვნებდი. ასე ჩამძინებოდა უბედურ, ბაწაწა თაგუნიას ღობის ხშირ ჩინჩხერებში.

თ ა ვ ი II.

რომელ საათზე გამეღვიძა,— ვერ გეტყვით: არც საათი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მქონდა და, გინდაც მქონოდა, მაშინ საათის ცნობა ვერ ვეცოდი. ჩემი ბინიდან გამოვმეერ და ღობეს ზემოდან მოვექეცმშვენიერი დილა იყო. მზე ბრწყინავდა. ბალახები საკმაოდ გამშრალიყო, თუმცა ზოგიერთზე კიდევ ბრჭყიალებდა მარგალიტებივით წვიმის წვეთები.

— დედა!—ამოძხდა გულის სიღრმიდან კვნესა და თვალებზე ცრემლები მომადგა:—სად არის ახლა დედა?. ვინ იცის, როგორ დარდობს. რა მოუვიდოდა უბედურს!.

თვალ წინ წარმომიდგა ჰატივცემული დედა-ჩემი, თვალცრემლიანი და დანაღვლებული. გული ძალზე მიცემდა. მივისედ-მოვისედე. ერთის მხრით—ვენახი. ვენახის ღობეზე მე ვასკუპივარ. ღობის იქით გზა და მინდორი, რომელზედაც დიდი მდინარე მიიკლაკნება და შორს, ღურჯ მთებთან, მოსახვევში იკარგება.

— რა დიდი ეოფილა ქვეყანა!—გავიფიქრე და ნაღვლიანი ღიმილი ამითამამდა ტუჩებზე. მხოლოდ ახლა მივხვდი ჩემს მდგომარეობას. მარტო, ყველასაგან მივიწყებული ჰატარა არსება ამოდენა ქვეყანაში!. სად წავიდე?. ვის მივადგე?!. ეჰ!. საყვარელო დედავ!. სადა ხარ, რომ უდარდელად არ ვთამაშობ, შენი მზრუნველობას მოკლებული. ძნელი ეოფილა ობლობა, უთავშესაფარობა!.

ამ ფიქრებში ვიყავი გართული, რომ ზედ ჩემს თავზე მომესმა რაღაც სტვენა და ტულაში-ტულუში. მწარე ტკივილი ვიგრძენ ზურგში და გუშინდელივით სადღაც გავფრინდი. მე ჩემი თავი სიზმარში მეგონა. კუდზე მაგრად ვიკბინე, იქნებ გამეღვიძოს მეთქი, მაგრამ ამაოდ. ზურგის ტკივილებს ახლა კუდის მწვავე ტკივილიც მიემატა. თურმე მიმინოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლანჭებში ვეჭირე და მასთან ერთად მივფრინავდი. ბევრ სანს ვიფრინეთ. გადავფრინდით ბალახითა და ჭრელ ყვავილებით მოქარგულ მინდორზე, გზებზე, და მალე დიდ სოფელ-

საც მივუახლოვდით. სოფლის ზემოდ ტყე იყო შეფენილი გორაზე და იმ ტყისკენ მიმაქანებდა ჩემი მტარვალი.

— მალე ბოლო მომელება,— გავიფიქრე გულებაში და ჩემი თავი ძალიან დამენანა. სიმწარისაგან წრუწუნი ამომხდა შეწუსებულ გულიდან. აგერ მივფრინავთ სოფელზე. ქოხმასები, საბძლები და კალოები. დედაბრები მოსასვეებით. კრუსწიწილა ეზოებში. ქათმები, ინდოურები, თეთრი ბატები. რა სასიამოვნო სანახავია!.

— ბიჭო, ვანო, თოფი მოიტა!. აგერ ის მიმინო, ჩვენი წიწილები რომ გააწყო!— დაიყვირა ბატარა ბიჭმა ერთ ქვიტკირის სახლის წინ და ჩვენსკენ თითი გამოიშვირა. სახლიდან მართლაც გამოვარდა თოფიანი ბიჭი. თვალი მოგვაპყრო და თოფი ჩვენსკენ გამოიშვირა. თოფმა იჭექა. მიმინო შეტორტმანდა, გამიშვა კლანჭები და საშინელი სისწრაფით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძირს დავეშვი. მიწასე მაგრა დავეცი. თავბრუ მესხმოდა. ბანცა წამოვსტი და ცეტივით გავექანე ღია კარებისაკენ, საიდანაც ვანო გამოვიდა. შევარდი ოთახში, ავსტი ტახტზე და იქიდან ღია თახჩაში ვისკუპე. დედაბერი, მგონი—ვანოს დედა, იმ დროს თახჩაში ჯამებს ალაგებდა.

— უი! თაგვი, თქვენი ჭირიმეთ! აქ რა უნდა წეულს!— დაიძახა ბებერმა. გაუვარდა ხელიდან ჯამები და სულ ერთიანად დალეწა. მე ბევრი ვისტუნე ჭიქებსა და ჯამებს შუა, ვიდრე ეირაბალა რაღაც შავ ორმოში არ ჩავარდი!. უგრძნობლად დავეცი. ისე ვიყავ დაღლილი, დაქანცული და შეშინებული, რომ ალაგიდან აღარ დავძრულვარ და თვალებ-დაჭეტილი დიდხანს ვიწექი ერთს ადგილას.

თავი III.

გული ნელნელა დამიშვიდდა. წამოვიწიე და იქაურობას თვალი მოვავლე. კედელში გასლდით მოკალათებული, თახჩის მახლობლად. მივიარ-მოვიარე ჩემი ბინა და კიდევაც ბევრს ვისეტიალებდი კედლის ხვრელებში, რომ ჩემს კუჭს არ ეგრძნობინებინა, რომ მეორე დღე იყო. მშიერი ვიყავი. თახჩიდან მშვენიერი ყველის სუნი მეცა. ჰირში ნერწყვი მოადგა. ჩემდა უნებურად ფეხზე ავდექ და თახჩისკენ გავწიე. ათი ნაბიჯის შემდეგ ცხვირი თახჩაში გავყავი. ყველის სუნმა დამბნიდა. თახჩის გარედ, ე. ი. ოთახში, ხმაურობა ისმოდა. ეტყობოდა-სადილობდნენ. შევსდექი. ყური დაუგდე.

— ბიჭო, ვანო, შენ რომ მიმინოს თაგვი გააგდებინე, აქ გვესტუმრა!. იმ დასამიწებელმა ოთხი ჯამი გამატესინა. იმას თუ ხაუანგი არ დავუგეთ' არ იქნება, ის ოხერი-ისეთი რამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის, რომ ყველაფერს გაგვიტიალებს და იმის შიშით ვეღარას შევინახავთ თახჩაში.

უნებურად გამეცინა და თავმოყვარეობა ტკბილად ამიღიტინდა.

„ბიჭოს! მეც ვუოფილვარ რამე, ჩემიც ჭმინებიათ,!—გავიელე გუნებაში და გაბედულად ამოვფოფხდი თახჩაში. მაინც ფრთხილად გავიარე და ეგელიან ჯამს წავაწყდი. მეც ის მინდოდა!. კარგად რომ ვიჯერე გული, კიდევ გავიარ-გამოვიარე და ერთ მრგვალ ქილაზე ავმყერი. ზემოდან დაფარებული ქაღალდი კბილებით ჩავხვრიტე და შიგ ცხვირი გავყავი. ქილაში თურმე მურაბა ეოფილა. ვსვლიბე და ვსვლიბე, სანამ ახლო თახჩასთან ფესის ხმა არ მიმესმა. მაშინ კი ვიკადრე ქილიდან გამოხტომა და კედლის ხვრელში დამალვა. გაიღო თახჩის კარი, ვიღამაც ჭურჭელი შემოალაგა და ხმა-ამღლა წამოიძახა:—

— უი, დამიდგეს თვალები!. შეხეთ იმ წყეულს—რა უქნია! სულ გაუტიალებია ყველი. ქა! ქა! მურაბაში ჩაუყია დინგი... ახლა ხომ აღარაფერი იჭმება. მელანოანთ საფანგი თუ არა ვთხოვეთ, ჩვენი საქმე ცუდად წავა.

მე კი გუნებაში ვხარხარებდი, ულვაშებს ვისწორებდი და ტანს ვილოკავდი. მალე საძილედაც მოვემზადე და ერთი კარგი, მაგარი ძილი გამოვაცხე.

(დასასრული იქნება)

გუგანარვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მურია

კაფ-წკაფ! წკაფ-წკაფ!.. ჰყეფს მურია,
ჰყეფს მტირალი ცხარე ცრემლით,
გული მოსდის და ვილასაც
იხსენიებს კრულვა-წყევლით.

თინა ტკბილად უალერსებს
და ამშვიდებს: — თვალის ჩინო,
მითხარ რად ჰყეფ, რა გაწუხებს,
რა გსურს — ახლავ გაგიჩინო? —

როგორ თუ რად, ჩემო კარგო?
ამ წყეულმა კატამაო
ლუკმა ტკბილად არ შემარგო,
სულ შხამად შემაჭამაო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხედავ ამა ჯამფილასა,
ამა ჩემსა სევდასაო;
სოსომ ცოტა რძე დამისხა,
ის დაურჩა დადასაო!

მსურს შევექცე ტკბილ-საამოს,
ნექტარს, გულის მალამოსო,
მაგრამ წყეულ ციცუნიას
არ უნდა, რომ მაამოსო!

დახე, როგორ უბრიალებს
შურით სავსე თვალებიო;
თუ შემება, მე იმ ჯამბაზს
ვერსად დავემალებიო!..

ცოცხალიც ვერ გადურჩები,
თუ გამომკრა ბრჭყალებიო,
დამიხსენი, გევედრები,
თინავ, გენაცვალებიო!..

თინამ უთხრა:—მე რა გიყო,
თქვენ ეგრე ხართ მარადაო,—
შენ იმას მტრობ, ის შენა გმტრობს,
ეს წესი გაქვთ გვარადაო!..

ილ. გოგია.



ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა ქურდი.

(ძველად პატარა ვანოს)

კომედია 1 მოქმ.

მონაწილენი პირნი:

დედა		
ვანო	**9 წ.**	**მოწაფეები**
ნუცა	**7 წ.**	
კაკო	**6 წ.**	

სცენა წარმოადგენს სასადილო ოთახს. ვანო ზის და გაკვეთილს სწავლობს. ნუცა და კაკო თამაშობენ ლოტოს.

1 გამოსვლა

კ ა კ ო 32... 65... 47...

ნ უ ც ა არა მეავს; მეავს... არა მეავს...

კ ა კ ო მე რა უეო, შენ რომ არა გეავს... 55... როგორც მე ვარ ჩუმად, ისე შენც გაჩუმდი, თორემ შემეშლება...99...

ნ უ ც ა (მივარდება) აბა სად არის 99... როგორ არა გრცხვენია?.. მალე მეორეში უნდა გადახვიდე, შენ კი მგონ არ იცი! რამდენჯერ უნდა გასწავლო, რომ ეს 99 კი არ არის—66-ია. ხახს მაინც ვერა ხედავ, ქვეიდან რომ უსხის?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაკო — როგორ ვერ ვსედავ, მაგრამ როგორღაც მეშლება ხოლმე!

ვანო — გაჩუმდით, მიშლით! ხომ ხედავთ, რომ ვკითხულობ!..

ნუცა — კარგი, კარგი, გავჩუმდებით.

ვანო — ჰო და გაჩუმდით. თუ თამაშობთ, ჩუმად ითამაშეთ. (პაუზა. კითხულობს ხმა-მაღლა) „დედამ მურაბა განჯინაში შეინახა, და რომ ბავშვებს არ მოეპარათ, გასაღებით დაკეტა. პატარა გიგამ იშოვნა გასაღები და მურაბა მოიპარა... მაგრამ ამ დროს შემოუსწრო მამამ და გიგა მაგრად გაწკეპლა... (დაკეტავს წიგნს და დაფიქრდება) მე ხომ მამა არა მყავს და... დედა-ჩემმა აი ამ განჯინაში შეინახა მურაბები და გასაღებით დაკეტა; მაგრამ გასაღები სადაც არის—კარგად ვიცი!.. მერე რა კარგი მურაბები გვაქვს... როგორიც გინდა-გვაქვს: თუნდა გოგრისა, თუნდა ვაშლისა, თუნდა ალუბლისა... (ჩაფიქრდება)

კაკო — გავათავე! არც ასლა მოგიგე?

ნუცა — ტეუილია-ტეუილი! შეგეშლებოდა; ეგრე მალე, და გათავე?! აბა მოდი-გავასწოროთ.

კაკო — რად უნდა გავასწოროთ, თუ კი შენსას არ ვასწორებთ ხოლმე?..

ნუცა — მერე მე უნდა მომბაძო? ხომ იცი, რომ მე შენზე დიდი ვარ! ასლა მე სიზმარიც კი დამეჯერება.

კაკო — დაგეჯერება, დიაღ... თუ კი შენ დაგეჯერება, მე რატომ არ უნდა დამეჯეროს... შენ ჩემზე მხოლოდ ერთი წლითა ხარ დიდი.

ნუცა — ერთი წლითაცა ვარ დიდი, და მაღალიცა ვარ შენზე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაკო — აბა დავეტოლოთ—ვინ უფრო მაღალია! (დადგება თითის წვერებზე)

ნუცა — შენ თითის ფრჩხილებზე სდგები-და!

კაკო — მერე მე რომ უქუსლოები მაცვია, და შენ კი-ქუსლიანები.

ნუცა — სულ ერთია... რაც გინდა ბევრი ილაპარაკო, მაინც მე შენზე დიდი ვარ.

2

დედა (შემოდის) რა იყო, რა ჭრიამული შეგიდგათ!..

კაკო — ეს მეუბნება, დედა, რომ მე შენზე მაღალი ვარო.

დედა — მერე რა ვუყოთ, შვილო, რომ მაღალია! შენც რომ მაგოდენა გახდები, მაგაზე მაღალი იქნები.

კაკო — მერე მაგოტელა როდის გავხდები: ეგ ჩემზე მუდამ ერთი წლით იქნება დიდი.

დედა — სულ ერთია, შენ მაინც მაგაზე მაღალი გაიზდები.

კაკო — ახლა, ახლაც მეტევი...

ნუცა — არ იცი, რომ გეტევი: სანამ დიდი ვიქნები—ყოველთვის გეტევი!

დედა (ვანოს) შენ რაღას კითხულობ, ვანო?

ვანო — გაკვეთილსა ვსწავლობ, დედილო...

დედა — ისწავლე, შვილო. მე წავალ, ჩაის გავაკეთებ, შენ კი ეური უგდე,—ჩხუბი არ მოუვიდეთ!.. შენ ხომ უკვე დიდი ხარ!.. (მიდის)

ვანო — კარგი, დედა, კარგი!

3

ვანო — ოჰ, ღმერთო ჩემო, როგორ მომინდა მურაბა! დედას ვთხოვო—არ მაჭმევს; მოვიპარო, და როგორ მოვიპარო, როდესაც სუფველანი აქ არიან. არა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსათუოდ რამე სერსი უნდა ვუპოვნო ამ გამოცანას. (ფიქრობს) მივსვდი, მივსვდი!.. ძალიან კარგი იქნება, ძალიან კარგი. როგორმე გავიტეუებ ჩვენებს სხვაგან, და როცა სასლი მარტოკა დარჩება, მერე მე ვიცი!.. მაშ აბა ჩქარა, მანამ დროა! (იხურავს ქუდს) დედა!.. მე მისაანთსა მივდივარ, წიგნი უნდა წამოვიღო!

დედა (კულისებიდან) წადი, შვილო, მაგრამ ჩქარა მოდი, რა დაიგვიანო!

ვანო არა, დედა, ამ წუთში აქა ვარ! (გარბის).

4

კაკო გავასუთე... არც ახლა გავათავე?

ნუცა ჯერ გავასწოროთ, და მერე დაიტრაბახე. იქნება ტეუილად დასვი!..

კაკო არა გრცხვენია?.. თუ კი მე შენსას არ ვასწორებ შენ ჩემი რად უნდა გაასწორო!

ნუცა იმიტომ უნდა გავასწორო, რომ მე შენზედ ერთი წლითა ვარ დიდი.

კაკო მაშ ვანოს რად ეჩხუბები სოლმე, როცა გისწორებს?..

ნუცა აბა როდის? მე იმას ეოველთვის ეურს ვუგდებ.

კაკო მაშ დილას ჩხუბი რად ბოგიგიდათ?..

ნუცა ი, შე ტუტუცო, რომ ვერ გაგიგია! ჩხუბი იმაზე მოგვიგიდა, რომ იმან ჩემზე დიდი ბური წაიღო სკოლაში.

კაკო მაშ პატარას ხომ არ წაიღებდა: ის ხომ შენზე დიდია?

ნუცა მერე რა, რომ დიდია, იმას ორი გაკვეთილი ჰქონდა, მე კი—სამი!..

5

ვანო (შემორბის სისწრაფით) დედა, დედა?... სად არის ნუცა, დედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედა (შემოვარდება) რა იყო, შვილო, ხომ არ შეგეშინდა?

ვანო არ კი შემეშინდა, დედა!.. ჩქარა მიხაანთსა წადი; მისას დედა მოჭკდომია!

დედა (ტირიდით გარბის) უი დედასა, შვილო, ეს რა უბედურება დაჭმართვია.

6

ვანო ეგეც ეგრე!.. ახლა ესენი მოვიშორო!...

კაკო და ნუცა რა იყო, ვანო, რა მოხდა?..

ვანო ჯერ წადით, ჩაი ალიეთ, და მერე გეტყვით!..

ნუცა არ მოგვატყუებ?..

ვანო (მიჭვავს) არა, არა!.. წადით, ჩაი გაცივდება!

7

ვანო ესეც ასე!... ახლა უნდა დავეშურო, რომ დედამ არ მომასწროს!.. (იპოვნის გასადებს) ოჭ, როგორ კარგა გავიტყუე!.. (იტინის) მიხაანი ქალაქის განაპირას ცხოვრობენ. სანამ დედა იქ მივა, დაჯდება, იბაასებს, მერე აქ დაბრუნდება,—მთელი ერთი საათი უნდა. მე კი მხოლოდ ოცი წუთი დასვენება მინდა!.. (მივა და საჩქაროდ გაადებს განჯინას) ეს ასე. ახლა ვნახოთ—რომელი მურაბა სჯობია!.. (კითხულობს ზედ-წარწერებს) „ვარდის მურაბა“... ეს არ ვარგა, ეს უგბილოებისაა!.. (შესდგამს) „ალუბლის მურაბა“... ეს კარგია, მაგრამ კურკიანია! კურკების დამალვასაც ფიქრი უნდა, თორემ დედა ხელად გამიგებს! „შინდის მურაბა“... ეს არ ვარგა,-მჟავეც არის და კურკიანიც!.. „ოღნაშოს მურაბა“,-ამასაც კურკები აქვს! ვაჭ, სუფეელანი კურკიანებია, და ნეტავი რომელი იქნება უკურკო!.. „ქლიავის მურა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა'' ფუ!.. ესეც კურკიანია!.. ,,ბლის მურაბა'' ძლიევს არ გამოჩნდა უკურკო!.. (საჩქაროდ ხსნის ქიდს, ამოიღებს მურაბას ხელით და იდებს პირში.) იფ! იფ! რა კარგია!.. იფ! იფ! იფ!.. ამისთანა კარგი არაფერი მინახავს ჩემ სიცოცხლეში!.. ნამდვილი შაქარია, ნამდვილი!.. ყველაფერზე კარგი, სუფველაფერზე კარგი ეს არის! იფ... იფ... იფ.. იფ!..

8

დედა (უცერად შემოუსწრებს დედა, ჯოხით ხელში) ამას რას ვხედავ?.. ეს რა არის?..

ვანო (წამოხტება და ხელების დოკვით)... მაპატიე, დედი, მაპატიე! ღმერთმანი ჩემი ბრალი არ არის!.. წიგნის ბრალია!..

დედა უი, შე გამოსაკლებო—შენა!.. მომატეუე განა!.. (დასდევს დასაჭერად და ორივენი დარბიან მაგიდის გარშემო). დადექი, თორემ უფრო ცუდი დღე დაგადგება!.. დადექი, ჩქარა!...

ვანო მაპატიე, დედი, მაპატიე!.. ღმერთმანი ჩემი ბრალი არ არის!.. ღმერთმანი—წიგნის ბრალია!..

(ფარდა).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჭიანჭველას საოცარი თავგადასავალი.

VII.

სტუმრად მიწის მუშებთან.

საშინელი მხეცი.—ყაჩაღების ბუნაგის დაღუპვა.—მე ბალანში დავიხლართე.—მარტოდ მარტო ტყეში.—სტუმრად მიწის მუშებთან.—ვტოვებ ძვირფას ამხანაგებს.

დიდსანს ვიუალი ტევედ წითურებთან. ვმუშაობდი ბევრს, ისე, როგორც ჩემ სამშობლოში. ერთხელ დავაბინავეთ ჭიები და ფუმფლები, წლოვანების მიხედვით, დავკეტეთ ალაუაფის კარები და დავწევით დასაძინებლად. ღამე საშინელი უბედურება მოხდა; ახლაც არ შემიძლია ამაზე მშვიდად ლაპარაკი! ყაჩაღების ქალაქი იღუპებოდა! სახლები, კედლები, მთელი ქუჩები ინგრეოდა და ნამტვრევები შორს იფანტებოდა.

მე გამეღვიძა, ზეზე წამოვვარდი და ამ უბედურების დანახვაზე კინაღამ ჭკუაზე შევიშალე. ჩემს წინ უზარმაზარი ქმნილება იდო, ჩვენ ქალაქზე, ეველა მისი ქუჩებით, ბევრად უფრო დიდი. ამ საშინელ ქმნილებას ვეებერთელა და თმა-აბურძგნული თავი ჰქონდა. ის თავის თათებით თხრიდა ქალაქს და სჭამდა ეველაფერს, რაც შეხვდებოდა. მის სახაში ბევრი წითური სარმაცი დაიღუპა. ეს საშინელება ფუმფლებისაკენ მიისწრაფოდა. ჩვენ ეველანი, წითურებთან ერთად, მივვარდით ჰირუტევს და კბენა დავუწეთ; მაგრამ ის არაფერ ეურადღებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ აქცევდა ჩვენს ჩხვლეტას. ბოლოს მეც მის თათებში ჩავ-ხვდი-და სადღაც გადამტეორცნა, მაგრამ შიშისაგან არ დავი-ბენი და დაუყვირე ჩვენებს:—მომეეთ, ძმებო, ამხანაგურად დავეცეთ თავს მტერს,—მის ხორცს უნდა წავაველო ბირი!

მის გრძელ ბალანში, როგორც ტყეში, ისე გაემნელე-ბოდა სიარული. ბოლოს ხორცს მივაგენით და დაუწყეთ კბე-ნა. ჩვენ შორის ზოგიერთმა გაბედულმა ცხვირის ნესტოებს მიაშურა; ისე მწარედ უკბინეს ცხვირზე, რომ მხეცმა დაიღ-რიალა, თავი გააქნია და გაიქცა.

მე დავიყვირე: „ძირს მიწაზე ჩამოცვივდეთ-მეთქი!“ ყველა ჩამოცვივდა, მეც დავაბირე, მაგრამ ამაოდ: ისე გავები ხშირ ბალანში, როგორც ობობას ქსელში. მთელი ძალ-ღონე მოვი-კრიბე, მაგრამ ვერას გავხდი: მხეცს თან მივყავდი. ყველა ად-ვილად წარმოიდგენს, თუ რა საშინელება ვიგრძენი მაშინ. დიდხანს მატარა ასე მხეცმა, არც კი უგრძვნია ჩემი იქ ყოფ-ნა. გზაში ხშირად თხრიდა ვეებერთელა ხის ძირებს: ალბად ჭიანჭველების ბინას ეძებდა. გამოსავალი გზა რომ ვერ ვი-პოვნე, ბალანს ღრღნა დაუწყე და ერთბაშად მიწაზე დავეცი.

აჯ! რა გაძესარდა: გადავრჩი სიკვდილს,—მიწაზე ვიყავი. უგზო-უკვლოდ წინ წავცოცდი. შიმშილი მაწუხებდა; საჭმელი კი არსად იყო. ბოლოს ტეის ბაღლინჯოს წავაწყდი. ამ ბირუტყვს საზიზღარი სუნი ჰქონდა: დიდ მანძილზე ვგრძნობდი მის სიმურალეს; მაგრამ სიმშილმა სიამოვ-ნებით შეაჭმევინა იგი. ცოტა დავნაყრდი და გაუდექი გზას. გადავწყვიტე როგორმე ჩემი საშობლო ქალაქის პოვნა. მიწას ხან ულვაშებით ვსინჯავდი, ხან თავით, ხან ვსუნავდი; ვგრძნობდი, რომ სულ უცნობ გზას დავადექი. დიდხანს ვია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რე. ბოლოს უცხო ქალაქს მივადექი. მაღალი ბალახებით-ულებით დაფარული იყო. ქალაქის ირგვლივ დიდ მანძილზე სისუფთავე იყო: ერთი ნამცეცი ნაგავი არსად სჩანდა. მიწა ისე გასწორებული, გაწმენდილი იყო, რომ ქვაფენილს მოგაგონებდა. ამ გაწმენდილ მიწის შუაგულში ერთგვარი ბალახი იყო. სხვანაირ ბალახს იქ ვერც ნახავდით. სიამოვნებით ვათვალიერებდი ჩემს წინ გაკაშლილ სურათს. უეცრად ჩემს ირგვლივ გაჩნდა რამოდენიმე ნაცარა ჭიანჭველა. მე ხელმეორედ ტუვედ გავხდი. ჭიანჭველები მომიახლოვდნენ, დაშსუნეს და ულვაშებით შემეხნენ.

— რად მსუნავთ? რის სუნი მაქვს—ბაღლინჯოს? მე ბაღლინჯო არა ვარ; მე თქვენსავით მუშაობის მოყვარული ჭიანჭველა ვარ. ეხლანან მშიოდა, ბლაღინჯო ვჭამე, და მისი სუნი მდის. თუ შეჭმას მიბრძანებთ, გთხოვთ შემჭამოთ, ჩქარა შემჭამოთ, თორემ საშინლად გამაძწარა ცხოვრებამ. ეჰარა!.. სიკვდილის ახლა აღარ მეშინია.

— რას ამბობთ: ჩვენ ჭიანჭველების მჭამელები არა ვართ. არა გრცხვენიათ, უიმედობას მისცემიხართ. თქვენ ჯერ ისე ახალგაზდა ხართ,—მითხრა ერთმა ჭიანჭველამ.

— სუფველაფერი რომ გიამბოთ, რაც მეწია ცხოვრებაში, თავზე თმა რომ გქონდეთ, აგეშლებათ.

— ბევრი მწარე დღე გინახავთ. მობრძანდით ჩვენ ქალაქში, მოვილაპარაკოთ, და, თუ შესახლოა,-გიშველით. ჩვენ ველას ვეხმარებით, როცა ძალა შეგვწევს. საჭმელს გაჭმევთ. დაისვენეთ, და ჩვენსა თუ არ მოგეწონებათ, საცა გინდათ,—იქ წადით. ჩვენ მშვიდობიანი მცხოვრებლები ვართ, არაფის არ ვაწუხებთ. თქვენც კარგი ოჯახის შვილი ხართ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩვენ მეჯოგეები ვართ, და ვნადირობთ.

— თქვენ დიდებული ქალაქის მცხოვრებნი ეოფილხართ! ჩვენ ძალიან გვიყვარს თქვენი მოძმეები: თქვენ ჩვენ ტყეს მავნე ჭიებს აცლით. უთქვენოდ ჩვენი ყანები სულ შეჭამული იქნებოდა!

— დიახ, თვითეული ჩვენი ქალაქი 100,000 ჭიას სწევეტს დღეში; და ქალაქები რომ ბევრი გვაქვს, — ეს თქვენც კარგად გეცოდინებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბა, ბატონო, უმორჩილესად გთხოვთ გვეცოდ
სიტუვებთან ერთად თავი მოიხარეს, თითქოს მხედრულად მ
მესალმნენ და ქალაქში წამიყვანეს.

ეანებს რომ ჩაუარეთ, შეეკითხე:—

— მიოხარით, რა საჭიროა ასეთი უცნაური სისუფთა

— უამისობა შეუძლებელია. ხედავთ ამ ბალახს? ეს ჩვ
ბრინჯია, ძალიან გემრიელი საჭმელი. რომ არ გავწმინდო
ცუდი ბალახით აიკვსება აქაურობა და დაიღუპება ჩვენი ნ
თესი. სისუფთავე ძალიან საჭიროა. აი, გემო ნახეთ-როგ
რი ვაშლებია ჩვენს ბაღში?—და მოხწეკვიტეს ჩემთვის ერ
ვაშლი. მშვენიერი სუნი ჰქონდა და გემრიელი იყო.

— მომეცით კიდევ ერთი ვაშლი; კარგათ ვერ გავუგე
მო, რადგანაც ჰირში ჯერ კიდევ ბაღლინჯოს სუნი მაქვს.

— ო, დიდი სიამოვნებით!—ერთმა ჭიანჭველამ გაანძრ
ბალახი და ნაყოფი მოსწეკვიტა. შევჭამე და საშინლად ავკა
კალდი.

— რა მოგივიდათ? ნუ თუ ასეთი ცუდია?

— აჰ, არა, თქვენმა სილმა ჩვენი ძროხების რძე მო
გონა. ვერასოდეს ვეღარ ვნახავ ჩვენ ძროხებს, ვერასოდეს ვ
დავლევ მათ რძეს.

— დამშვიდდით, ასე ადვილად იმედს რატომ ჰკარგავ
დაისვენეთ, საჭმელი ჭამეთ, მერე ჩვენ შენობებს გიჩვენებ
ქალაქში წამოდით.

კაკი.

(გაგრძელება იქნება)